საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი
GEORGIAN INSTITUTE OF POLITICS

GIP პოლიტიკის მემორანდუმი ოქტომბერი 2024 / გამოცემა #76

არჩევნებიდან-არჩევნებამდე: საქართველოს მმართველი პოლიტიკური პარტიის „ქართული ოცნების“ ტრანსფორმაცია

სალომე კანდელაკი[1]

საქართველო ბოლო ათწლეულში მყარად ინარჩუნებს ადგილს ჰიბრიდულ დემოკრატიის მქონე ქვეყნებს შორის და შესაბამისად არასტაბილური პოლიტიკური სისტემით ხასიათდება. პოლიტიკურ პარტიებს უჭირთ იდეოლოგიური სტაბილურობის შენარჩუნება და ხშირია შემთხვევები, როდესაც ისინი ცვლიან თავიანთ პრიორიტეტებს კონტექსტიდან და საჭიროებიდან გამომდინარე. ამის ერთ-ერთი ნათელი მაგალითია მმართველი პარტიის - *ქართული ოცნების* რადიკალური იდეოლოგიური ტრანსფორმაცია. კონკრეტულად, *ქართულმა ოცნებამ* მკვეთრად შეცვალა თავისი პოლიტიკური დღის წესრიგი სოციალური საკითხებიდან და ევროკავშირში ინტეგრაციის პოლიტიკაზე ფოკუსირებიდან, კონსერვატიული ნარატივების გაძლიერებისა და დაშინების პოლიტიკისკენ (რადიო თავისუფლება 2024ა). ეს ცვლილება აისახა ეგრეთ წოდებული კონსერვატიული და ულტრანაციონალისტური მოძრაობების ნარატივების მითვისებაში და მათი პოლიტიკური დღის წესრიგის საარჩევნო კამპანიის ბირთვად ქცევაში (On.ge 2024).

წინასაარჩევნო კამპანიის ოპონენტების საწინააღმდეგოდ ნეგატიურ მესიჯებზე აგება *ქართული ოცნებისთვის* არახალია, თუმცა 2024 წლის საარჩევნო კამპანია საზოგადოებაში შიშის დათესვის უპრეცედენტო ხერხების გამოყენებით გამოირჩევა. შიში ეფუძნება ომის და

[1] სალომე კანდელაკი არის საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტის პოლიტიკის ანალიტიკოსი და პროექტის მენეჯერი.

მშვიდობის პარადიგმას, სადაც *ქართული ოცნება* თავის თავის ქვეყანაში მშვიდობის ერთადერთ გარანტად წარმოჩენას შეეცადა. ხოლო ოპოზიციის დიდ ნაწილი ქვეყნის ომში ჩათრევის მცდელობაში დაადანაშაულა და ე.წ. "კოლექტიურ ნაციონალურ მოძრაობად" დააკლასიფიცირა, რისი გაუქმებაც არჩევნების შემდეგ მათი ერთ-ერთი მთავარი მიზანია (კუნჭულია 2024). ომის და მშვიდობის თემის პოლიტიკურად ინსტრუმენტალიზებას *ქართული ოცნება* 2022 წლიდან მუდმივად ახერხებდა (კაკაჩია & კანდელაკი 2023). თუმცა 2024 წლის წინასაარჩევნოდ, *ქართული ოცნების* სწრაფი დისკურსული სახეცვლილება განსაკუთრებით თვალშისაცემი გახდა.

პოლიტიკის მემორანდუმში გაანალიზებულია საქართველოს მმართველი პარტიის სოციალური და ევროინტეგრაციის დღის წესრიგიდან ფსევდო კონსერვატიულ-რელიგიურ დისკურსზე გადაწყობის ფესვები და ტაქტიკები.

საზოგადოებრივი პრიორიტეტები vs ქართული ოცნების დაპირებები

ქართული ოცნების დისკურსული ტრანსფორმაცია არა საზოგადოებრივ პრიორიტეტებზე, კერძოდ სოციალური კეთილდღეობის საკითხებზე კონცენტრირებას, არამედ ამომრჩეველთა ემოციებზე ზეგავლენის მოხდენას და ამ გზით მაქსიმალური ელექტორალური მხარდაჭერის მოხვეჭას დაეფუძნა. ამის საილუსტრაციოდ, წინამდებარე ცხრილში ასახულია *ქართული ოცნების* 2020 და 2024 წლის ძირითად წინასაარჩევნო დაპირებებს შორის განსხვავებები (ცხრილი 1). მმართველი პარტიის ტრანსფორმაცია უმეტესწილად 2022 წელს რუსეთის უკრაინაში შეჭრას უკავშირდება; პერიოდს როდესაც საქართველოს მთავრობამ რუსეთის მიმართ რიტორიკა საგრძნობლად შეარბილა, არ შეუერთდა დასავლური სანქციების სრულ პაკეტს და ანტაგონისტური მესიჯების გავრცელება დაიწყო დასავლელი სტრატეგიული პარტნიორების მიმართ (გეგეშიძე 2024).

ცხრილი 1. ქართული ოცნების 2020 vs 2024 წლების წინასაარჩევნო დაპირებები

ქართული ოცნების წინასაარჩევნო დაპირებები 2020	ქართული ოცნების წინასაარჩევნო დაპირებები 2024
200 000 ახალი სამუშაო ადგილი	ოპოზიციური პარტიების (ე.წ. "კოლექტიური ნაციონალური მოძრაობის") აკრძალვა
40%-იანი ეკონომიკური ზრდა	ჰომოფობიური კანონმდებლობის მიღება („ოჯახის ღირებულებებისა და არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ")
განაცხადი ევროკავშირის წევრობისთვის 2024 წელს	ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისთვის მზადყოფნა
	მართლმადიდებლური ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება (შეთანხმება ვერ შედგა და მოხდა საკითხის კორექტირება)

წყარო 1: ჩიჩუა, ნ. 2020. რას ჰპირდება "ოცნება" ამომრჩეველს | არჩევნები 2020. ნეტგაზეთი. ხელმისაწვდომია: https://netgazeti.ge/news/492894/

წყარო 2: კუნჭულია, ლ. 2024. "ოცნების" ოთხი მიზანი საკონსტიტუციო უმრავლესობის ძიებაში. რადიო თავისუფლება. ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/%E1%83%9D%E1%83%AA%E1%83%

2020 წლის მთავარ წინასაარჩევნო დაპირებებისგან განსხვავებით, რაც სამუშაო ადგილების შექმნას, ეკონომიკის გაუმჯობესებას და ევროინტეგრაციას ეხებოდა, 2024 წელს *ქართული ოცნება* ძირითადად ოპოზიციისადმი ანგარიშსწორების, ჰომოფობიური კანონმდებლობის შემოღებით და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისთვის მზადების დაწყების დაპირებებით შემოიფარგლა (კუნჭულია 2024). პარტიის ლიდერების დასავლელი პარტნიორებისადმი ხისტი რიტორიკისა და ევროკავშირში ინტეგრაციასთან წინააღმდეგობაში მყოფი კანონმდებლობის მიღების შედეგად, *ქართული ოცნების* დევიზი "ღირსებით ევროპისკენ" ნაკლებად დამაჯერებელი გახდა პროევროპულად განწყობილი

ამომრჩევლის ნაწილისთვის. მიუხედავად იმისა, რომ ფორმალურად ქართულ ოცნებას ვრცლად გაწერილი წინასაარჩევნო პროგრამა გააჩნია, დისკურსულად პარტიამ მთავარი გათვლა არა მათ გამოწვევებზე კონცენტრირებაზე, არამედ საზოგადოების ემოციებზე ზემოქმედებაზე გააკეთა. ამის გათვალისწინებით, *ქართული ოცნების* საარჩევნო ტაქტიკის რაციონალურობის დასადგენად, ქვემოთ გაანალიზებულია საქართველოს მოსახლეობის მთავარი საჭიროებები და გამოწვევები.

ყურადსაღებია, რომ კავკასიის ბარომეტრის მიერ ჩატარებული საზოგადოებრივი გამოკითხვის შედეგების თანახმად, დინამიკაში 2008 წლიდან 2024 წლამდე საგარეო პოლიტიკის და უსაფრთხოების მნიშვნელობა მკვეთრად შემცირდა და 2024 წლის მონაცემებით საქართველოს მოსახლეობის მხოლოდ 4% აღიქვამს ამ თემას მთავარ გამოწვევად. ხოლო სოციალური და ეკონომიკური სიდუხჭირე ყოველთვის ძალიან აქტუალური პრობლემა იყო (დიაგრამა 1) და ბოლო წლებში კი მთავარ გამოწვევად სახელდება (დიაგრამა 2). ამგვარი მონაცემების ფონზე, საყურადღებოა, რომ *ქართული ოცნება* წინასაარჩევნოდ მსგავს თემებზე საერთოდ არ აკეთებს აქცენტს, რაც საზოგადოების გამოწვევებიდან გამომდინარე ელექტორალურ მხარდაჭერაზე სავარაუდოდ ნეგატიურად აისახება.

დიაგრამა 1: საქართველოს მოსახლეობის მხრიდან საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის და ასევე სოციალურ-ეკონომიკური სიდუხჭირის ქვეყნის გამოწვევად აღქმის მაჩვენებელი 2008-2024 წლების დინამიკაში.

წყარო: არაბული, ნ. 2024. მოსახლეობის დაკვეთა და „ქართული ოცნების“ საარჩევნო დაპირებები - რას აჩვენებს კვლევები. რადიო თავისუფლება. ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/%E პირველწყარო: კავკასიის ბარომეტრი: https://caucasusbarometer.org/ge/datasets/

დიაგრამა 2. საზოგადოებრივი გამოკითხვის მიხედვით ქვეყნის მთავარი გამოწვევების ჩამონათვალი



წყარო: კავკასიის ბარომეტრი. 2024. საქართველო, 2024 წლის 16 აპრილი - 13 მაისის მონაცემები. ხელმისაწვდომია: https://caucasusbarometer.org/ge/cb2024ge/IMPISS1/

ქართულმა ოცნებამ ქვეყანაში ომის თემის აქტუალიზება თავად მოახდინა, კერძოდ კი საზოგადოებაში ომის დაწყების შესახებ შიშის დანერგვის გზით. აქედან გამომდინარე, შეიძლება ვარაუდი რომ მმართველმა პარტიამ ამჯერად პრაქტიკული პოლიტიკური დაპირებების ნაცვლად მისი ე.წ. პრაგმატული პოლიტიკა ძირითადად შიშს და ემოციებზე თამაშს დააფუძნა. პირველ რიგში, ეს ყველაზე ნათლად გამოიხატა *ქართული ოცნების* წინასაარჩევნო ბანერებში, სადაც ერთ მხარეს ქართული ეკლესიები, ბაღები და სხვა შენობებია სადაც ყველაფერი რიგზეა, ხოლო მეორე მხარეს უკრაინაში დაბომბილი და განადგურებული მსგავსი შენობა-ნაგებობებია, რამაც საზოგადოებაში არაერთგვაროვანი გამოხმაურება გამოიწვია (რადიო თავისუფლება 2024ბ). ასევე ემოციურ ფაქტორებს ეფუძნება მმართველი პარტიის დასავლური ღირებულებების ქართულ ტრადიციებთან შეპირისპირების ტაქტიკა და კონსერვატიულად განწყობილ საზოგადოებაში ქართული იდენტობის დაკარგვის შიშის გაღვივება. შესაბამისად შეიძლება ითქვას, რომ მმართველი გუნდის რადიკალური ტრანსფორმაციის ახსნა რაციონალურად იმდენად რთულია, რომ ამომრჩეველთა ემოციებით მანიპულირება მმართველმა პარტიამ ამჯერად ყველაზე

ლოგიკურ და ეფექტიან ტაქტიკად მიიჩნია. თუმცა ერთი მხრივ ხაზგასასმელია რომ საზოგადოებრივი გამოკითხვის შედეგად ქვეყანაში არსებულ მეორე ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემებს შორისაც კი მხოლოდ 1% მიიჩნევს "ეროვნული ტრადიციების დაკარგვის საფრთხეს" (დიაგრამა 3). ამავე დროს გასათვალისწინებელია, რომ იგივე გამოკითხვის შედეგად საქართველოს მოსახლეობის 93%-ის ყოველდღიურ ცხოვრებაში რელიგია მნიშვნელოვან ფაქტორად არის დასახელებული (კავკასიის ბარომეტრი 2024ბ). აქედან გამომდინარე, მმართველი პარტია აცნობიერებს რელიგიის და ტრადიციების ძალიან დიდ როლს საქართველოს მოსახლეობის ცხოვრებაში. ამგვარად, არ არის გამორიცხული, რომ ისევე როგორც ომის თემით ხალხის შეშინება, ტრადიციებით და რელიგიური ღირებულებების დაკარგვის შიშის მოსახლეობაში დანერგვაც ხელოვნურად შექმნილი ნარატივია. როგორც გამოკითხვის შედეგებმა ცხადყო, ტრადიციების და რელიგიის დაკარგვის საფრთხეს საზოგადოება ასე თავისთავად როგორც გამოწვევას არ აღიქვამს. მაგრამ თუ საკითხის ნეგატიურ ჭრილში პოლიტიკურად ინსტრუმენტალიზება და საფრთხედ წარმოჩენა ხდება, მმართველ პარტიას მოლოდინი აქვს რომ საზოგადოება ამ თემებზე რეაგირებას მოახდენს, რაც წაადგება მათ ელექტორალურ მხარდაჭერას.

დიაგრამა 3: საზოგადოებრივი გამოკითხვის მიხედვით ქვეყნის რიგით მეორე გამოწვევის ჩამონათვალი



წყარო: კავკასიის ბარომეტრი(ა). 2024. საქართველო, 2024 წლის 16 აპრილი - 13 მაისის მონაცემები. ხელმისაწვდომია: https://caucasusbarometer.org/ge/cb2024ge/IMPISS1/

ქართული ოცნების დისკურსული ტრანსფორმაციის ფესვები და ტაქტიკები

საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა, მათ შორის *ქართული ოცნების* ამომრჩევლების დიდი ნაწილი ქვეყნის ევრო-ატლანტიკურ ინტეგრაციას უჭერდა და უჭერს მხარს. ამიტომ, ქართულ ოცნებას პროდასავლური ელექტორატის შენარჩუნების მიზნით, უკრაინის და მოლდოვის კვალდაკვალ ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მისაღებად განაცხადის გაკეთება მოუწია. თუმცა, 2023-24 წლებში, დასავლელი პარტნიორებისადმი *ქართული ოცნების* მკვეთრად ნეგატიურად შეცვლილმა დამოკიდებულებამ, ევროკავშირის მხრიდან გაწევრებაზე მოლაპარაკებების შეჩერება გამოიწვია. შესაბამისად ამ გარემოებამ პროდასავლური ელექტორატის ნაწილის დაკარგვა გარდაუვალი გახადა. ამიტომ, ქართულ ოცნებას ამომრჩეველთა ხმების ერთი მხრივ შესანარჩუნებლად ომის და მშვიდობის უკვე შემუშავებული თეზისის გამყარება დასჭირდა; ხოლო მეორე მხრივ დაკარგული ელექტორალური მხარდაჭერის ამოსავსებად მკვეთრად კონსერვატიულად განწყობილი საზოგადოების მიმხრობა დაისახა მიზნად, რისთვისაც წინასაარჩევნოდ ფსევდო კონსერვატიულ-რელიგიური დისკურსის გავრცელება დაიწყო.

ქართული ოცნების კონსერვატიულ-რელიგიური ამომრჩევლის მხარდაჭერის სავარაუდო შესუსტება 2014 წელს უკავშირდება. პერიოდს როდესაც საქართველოს საკანონმდებლო ორგანომ მიიღო ანტიდისკრიმინაციული კანონი, როგორც ევროკავშირთან ვიზალიბერალიზაციის ერთ-ერთი წინაპირობა. აღნიშნული კანონის მიღებას ღიად შეეწინააღმდეგა საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი ილია II. საპატრიარქო წინააღმდეგი იყო კონკრეტულად ისეთი ჩანაწერის, როგორიცაა "სექსუალური ორიენტაციის" და "გენდერული იდენტობის" ნიშნით დისკრიმინაციის აღმოფხვრა. მათი გადმოსახედიდან ეს უკანონობის დაკანონებას გულისხმობდა (Netgazeti 2014). ამგვარად, ქართულ ოცნებას სავარაუდოდ გათვითცნობიერებული ქონდა, რომ მართლმადიდებელი ეკლესიის მრევლის და კონსერვატიულად განწყობილი მოსახლეობის ნაწილის მათდამი მხარდაჭერა შესუსტდებოდა. ამიტომ, მმართველი პარტია სხვადასხვა ხერხით ცდილობდა ამ სიცარიელის ამოვსებას.

<u>პირველი სავარაუდო სიტუაციური მოკავშირე</u>

ქართული ოცნების ერთ-ერთი მთავარი სიტუაციური მოკავშირე კონსერვატიული ელექტორატის მობილიზებაში შესაძლოა თავდაპირველად პარტია *პატრიოტთა ალიანსი*

ყოფილიყო. ეს პარტია სოციალურ საკითხებთან ერთად, ეროვნული თვითმყოფადობის და ტრადიციების შენარჩუნებაზე აპელირებდა (კანდელაკი 2021). მიუხედავად იმისა, რომ ზემოთ ხსენებულ ორ პარტიას შორის ფორმალური გაერთიანება არ მომხდარა, კრიტიკულ მომენტებში ისინი ერთმანეთთან თანამშრომლობით გამოირჩეოდნენ განსაკუთრებით საქართველოს მეცხრე მოწვევის პარლამენტის (2016-2020) მეორე ნახევარში. მეტიც, *პატრიოტთა ალიანსის* ერთ-ერთი ლიდერის ირმა ინაშვილის მიხედვით, 2012 წელს ციხის კადრების გავრცელება "ობიექტივის" ჟურნალისტური გამოძიების ფარგლებში მოხდა (Netgazeti 2012), რამაც *ქართული ოცნების* ხელისუფლებაში მოსვლა განაპირობა. *პატრიოტთა ალიანსის* მმართველი პარტიასთან კავშირები გამოიხატა მაშინაც, როდესაც პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი იღებდა არჩევნებში მონაწილეობას *ქართული ოცნების* მხარდაჭერით და როდესაც *პატრიოტთა ალიანსმა* ნაციონალური მოძრაობის წინააღმდეგ და სალომე ზურაბიშვილის კანდიდატურის მეორე ტურში მხარდასაჭერად მასშტაბური აქციები გამართა (Civil Georgia 2018ა). გარდა ამისა, Facebook-ზე 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებამდე გამოვლინდა სოციალური ქსელის ჯგუფები რომლებიც ერთდროულად *ქართული ოცნებისა* და *პატრიოტთა ალიანსის* მხარდასაჭერად მოქმედებდნენ (ISFED 2020). ასევე საგულისხმოა, რომ ქართულ ოცნების მხრიდან მწვავე გამოხმაურება არ მოჰყოლია 2016 წელს *პატრიოტთა ალიანსის* რუსეთის სახელმწიფო სათათბიროში ოფიციალური შეხვედრების გამართვას (Civil Georgia 2017). ამავდროულად აღსანიშნავია, რომ ირმა ინაშვილი საქართველოს პარლამენტის ვიცე-სპიკერის პოზიციასაც იკავებდა (პატრიოტთა ალიანსი 2017).

2018 წელს *პატრიოტთა ალიანსის* დეპუტატმა 'რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფისთვის' პარლამენტში საკანონმდებლო ინიციატივა წარადგინა და მისი სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების ინიციატივით გამოვიდა, რასაც პრინციპის დონეზე *ქართული ოცნების* მხრიდან მხარდაჭერა მოჰყვა (Civil Georgia 2018ბ). ამის გარდა, 2019 წლის გაზაფხულზე ქართული საზოგადოება მღელვარებამ შეიპყრო, მაშინ როდესაც დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსის სრულ ტერიტორიაზე სასულიერო პირებს და მოქალაქეებს გადაადგილება შეეზღუდათ (რადიო თავისუფლება 2019). საპასუხოდ *პატრიოტთა ალიანსმა* გარეჯში და თბილისში აქციები გამართა, ბოლოს კი საკითხი მაშინდელი პრემიერის გახარიას აზერბაიჯანში ვიზიტით და საკითხის მოგვარებით დაგვირგვინდა, რაც წინასაარჩევნოდ ამომრჩევლების კეთილგანწყობის მოსაპოვებლად კარგი ტაქტიკური სვლა იყო (სამხარაძე 2020). ექსპერტი პაატა ზაქარეიშვილის თქმით, ომის და მშვიდობის თემატიკით და ასევე რელიგიური ძეგლების და გრძნობების დაცვის მოტივით

ახალი მესიჯბოქსების შემუშავება 2024 წელს იგივე "დავით გარეჯი საქართველოას" გამეორებაა (On.ge 2024), *რაც ქართული ოცნების* უკვე ნაცადი ტაქტიკაა.

საგულისხმოა, რომ 2020 წლის არჩევნებში *პატრიოტთა ალიანსის მიერ* ბარიერის გადალახვის მიუხედავად, პარტიის ლიდერებმა შედეგები არ აღიარეს და გაყალბებულად ცნეს, რის გამოც ოპოზიციის დიდი ნაწილის მსგავსად საპარლამენტო ბოიკოტი გამოაცხადეს (IPN 2020). მმართველ პარტიასა და *პატრიოტთა ალიანსს* შორის ურთიერთობის წინარე ისტორიას და 2020 წლის არჩევნების შემდეგ განვითარებულ მოვლენებს თუ დავაკვირდებით, შეიძლება იმის ვარაუდი რომ ქართულმა ოცნებამ ისინი ტაქტიკურად დაიახლოვა და შემდეგ ჩამოიშორა.

<u>მეორე სავარაუდო ირიბი მოკავშირე</u>

სოციალ-კონსერვატიული ელექტორატის მისამხრობად, *ქართული ოცნების* მეორე სავარაუდო ირიბი მოკავშირე *ალტ-ინფო* შეიძლება ყოფილიყო, თუ გავითვალისწინებთ იმას რომ ალტ-ინფოს წარმომადგენლების ძალადობრივ ქმედებებზე, რუსეთთან კავშირებზე მთავრობას რეაგირება არასდროს ჰქონია. *ალტ-ინფო* ულტრანაციონალისტური და პრორუსული რიტორიკით გამოირჩევა, რომელიც რელიგიას და ტრადიციებს თავისი ნარატივის საზოგადოების გარკვეულ ჯგუფებში გასავრცელებლად მეტ-ნაკლებად წარმატებით იყენებს. აღნიშნულ ორ ძალას შორის კავშირზე რამდენიმე ანგარიში დაიწერა, ერთ-ერთია მმართველობის მონიტორინგის ცენტრი (GMC), რომლის წარმომადგენლებმაც *ალტ-ინფოს* მიერ ჩამოყალიბებული პარტიის *კონსერვატიული მოძრაობის* ფინანსური კავშირები გამოავლინა როგორც რუსეთთან, ისე საქართველოს ხელისუფლებასთან. მათ მიერ ასევე გამოვლინდა რომ *ალტ-ინფოს* საოფისე ერთ-ერთი ფართი *ქართული ოცნების* საკრებულოს წევრის შვილის საკუთრებაში არსებულ შენობაში გახსნეს, ხოლო მუნიციპალური არჩევნების დროს ერთ-ერთ რეგიონში *კონსერვატიული მოძრაობის* წარმომადგენელმა თავისი კანდიდატურა *ქართული ოცნების* სასარგებლოდ მოხსნა (ISFED 2022). გარდა ამისა, საყურადღებოა, რომ *კონსერვატიული მოძრაობის* ერთ-ერთი ლიდერი კონსტანტინე მორგოშია, მაშინ როდესაც სახელმწიფო ქონების მითვისებისა და თაღლითობის ბრალდებით იყო დაკავებული, მის უფლებებს მაშინ ადვოკატის რანგში *ქართული ოცნების* ერთ-ერთი ამჟამინდელი ლიდერი მამუკა მდინარაძე იცავდა (GMC 2022, Democracy Research 2022). კონსტანტინე მორგოშია თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ დაკისრებულ ასიათასზე მეტი ოდენობის ჯარიმას წლებია არ იხდის. საგულისხმოა, რომ მორგოშიამ პარტიათა დაფინანსების შესახებ კანონის გვერდის ავლით 2016 წელს

პატრიოტთა ალიანსს 96,600 ლარი შესწირა და დარღვევის მიუხედავად ჯარიმა წლების მანძილზე არ გადაუხდია. ყურადსაღებია, რომ *ქართული ოცნებას* თავის საარჩევნო დაპირებაში ოპოზიციის აკრძალვაზე საუბრისას *ალტ-ინფო* საერთოდ არ უხსენებია, მიუხედავად იმისა რომ ეს მოძრაობა რუსეთთან პირდაპირ კავშირშია და მისი წევრები რუსეთის უკრაინაში შეჭრის შემდეგ არაერთხელ იმყოფებოდნენ ვიზიტით მოსკოვში (ამერიკის ხმა 2022).

საინტერესო დამთხვევაა 2022 წელს *ალტ-ინფოს* მიერ პარლამენტში ინიციირებულ კანონპროექტის შინაარსსა და *ქართული ოცნების* მიერ უკვე, 2024 წლის სექტემბერში მიღებულ ჰომოფობიურ კანონმდებლობას შორის, განსაკუთრებით კი შეკრებისა და მანიფესტაციის შეზღუდვის ჭრილში. 2024 წლის სექტემბერში *ქართული ოცნების* მიღებული კანონის ერთი-ერთში ემთხვევა *ალტ-ინფოს* წინარე ინიციატივას, კერძოდ საკანონმდებლო ცვლილებების შემდეგ დაუშვებელი ხდება *„საჯაროდ ისეთი შეკრება ან/და მანიფესტაციის ჩატარება, რომელიც მიმართულია ადამიანის თავისი ბიოლოგიური სქესისგან განსხვავებული სქესისთვის მიკუთვნების, ერთი და იმავე ბიოლოგიური სქესის წარმომადგენლებს შორის სექსუალური ორიენტაციის ნიშნით გამოხატული ურთიერთობის ან ინცესტის პოპულარიზაციისკენ“ (რადიო თავისუფლება 2024გ).* არასამთავრობო ორგანიზაციები ამტკიცებენ რომ *“პაკეტი თავისი არსით ეხება არამხოლოდ ერთ ჯგუფს, ლგბტქ თემს, არამედ ქმნის პრეცედენტს, რომ მომავალში მთავრობას შეეძლოს ნებისმიერ მოქალაქეს ჩამოართვას კონსტიტუციით გარანტირებული უფლებები (Civil Georgia 2024).*

ალტ-ინფოსადმი ლოიალური პოლიტიკის მიუხედავად, *ქართულმა ოცნებამ* 2024 წლის დასაწყისში საარჩევნოდ ასპარეზზე ჯერ მათთან აფილირებული პოლიტიკური განშტოება *ხალხის ძალა* გამოიყვანა (კუნჭულია 2024), შემდეგ კი *ალტ-ინფოს კონსერვატიულ მოძრაობას* რეგისტრაციაში ხარვეზების გამო პარტია საჯარო რეესტრმა გაუუქმა (პუბლიკა 2024). *ალტ-ინფოს* ლიდერების თქმით *ხალხის ძალამ* მათი თემები და მესიჯები მიითვისა და წინასაარჩევნოდ მათი ჩანაცვლება დაისახა მიზნად” (კუნჭულია 2024). საბოლოოდ კი, ქართულმა ოცნებამ გააცნობიერა რომ *ხალხის ძალის* ცალკე პარტიად ასპარეზი მომგებიანი ვერ იქნებოდა და ერთიანი საარჩევნო სია ჩამოაყალიბეს (რადიო თავისუფლება 2024დ). ხოლო *ალტ-ინფოს* მოძრაობა საპარლამენტო არჩევნებში *პატრიოტთა ალიანსის* პარტიას შეუერთდა. თუმცა ქართულმა ოცნებამ *პატრიოტთა ალიანსის* და *ალტ-ინფოს* პოლიტიკური დისკურსი მთლიანად მიითვისა, რაც ცხადად ჩანს 2024 წლის საარჩევნო კომპასზეც, სადაც *ქართული ოცნება* და *პატრიოტთა ალიანსი* ერთ სიბრტყეზე გვერდი-გვერდ არის განთავსებული მემარცხენე კონსერვატიულ პოზიციებზე, რაც დიდ აცდენაშია 2021 წლის

საარჩევნო კომპასის მონაცემებთან, სადაც ის მემარცხენე ცენტრისტულ და რიგ შემთხვევებში ლიბერალურ პოზიციებს იკავებდა (იხ. კომპასი 1 და კომპასი 2). ამავეს ამტკიცებს *ალტ-ინფოს* ერთ-ერთი ლიდერი ზურაბ მახარაძე, რომლის თქმითაც ქართულმა ოცნებამ მათი მესიჯბოქსი დააკოპირა (On.ge 2024).

გრაფა 1 & 2: საარჩევნო კომპასზე ასახული საქართველოს პოლიტიკური ლანდშაფტი 2021 და 2024 წლების მონაცემები

კომპასი 1. პოლიტიკური კომპასი 2021



კომპასი 2. პოლიტიკური კომპასი 2024



წყარო 1: კახიშვილი, ლ. კეშელავა, დ. 2021. საქართველოს პოლიტიკური ლანდშაფტი. ფრიდრიხ ებერტის ფონდი. ხელმისაწვდომია: https://library.fes.de/pdf-files/bueros/georgien/18418-20220419.pdf

წყარო 2: ISET. 2024. საარჩევნო კომპასი საქართველო. EU, IRI, FES, KAS, USAID. ხელმისაწვდომია: https://bm.ge/news/dgheidan-akhali

რამდენად გაამართლებს ქართული ოცნების დისკურსული ცვლილება?

2024 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ საქართველოს მმართველი პარტია *ქართული ოცნება* მისი ტრადიციული ამომრჩევლის ხმების მოპოვების გარდა კონსერვატიულად განწყობილი მოსახლეობის ხმების მობილიზებას ცდილობს. ამიტომ, პარტია მაქსიმალურადაა კონცენტრირებული თითოეულ ხმაზე და არ ტოვებს სივრცეს სხვა ულტრამემარჯვენე-ნაციონალისტური, თუ განცხადებულად კონსერვატიული

პოლიტიკური პარტიების ასპარეზისთვის. თუმცა თუ *ქართული ოცნების* წლების მანძილზე არსებულ სტრატეგიას დავუკვირდებით, მას არც არასდროს დაუთმია კონსერვატიულად განწყობილი ამომრჩეველი სხვა პოლიტიკური ძალებისთვის. *ქართული ოცნება* ყოველთვის ცდილობდა კონტროლი მოეპოვებინა ისეთ მოძრაობებზე, თუ პარტიებზე რომლებიც ასეთი ელექტორატის მოზიდვას ისახავდნენ მიზნად. კერძოდ კი ასეთი იყო *პატრიოტთა ალიანსი, ალტ-ინფო* და შემდეგ უკვე *ქართული ოცნების* წიაღში შექმნილი მისივე განშტოება *ხალხის ძალის* სახით, რომლის დამოუკიდებელ მოთამაშედ წარმოჩენა სცადა და საჭირო დროს ისევ მიიერთა. იმ შემთხვევაში, თუ *ქართული ოცნების* ტაქტიკა *პატრიოტთა ალიანსის* და *ალტ-ინფოს* თამაშ გარეთ დატოვება და მთლიანად მათი ელექტორატის მიმხრობაა, მაშინ მათ ეს საკმაოდ გაუჭირდებათ, რადგან წლების მანძილზე ამ პოლიტიკურმა აქტორებმა მცირე, მაგრამ სტაბილური ელექტორატი ჩამოაყალიბეს. ხოლო თუ *ქართული ოცნების* ტაქტიკა ამ ძალების პარლამენტში შეყვანა და შემდეგ მათთან კოალიციის შეკვრაა, ამ შემთხვევაშიც არ არის მისთვის მომგებიანი სიტუაცია, რადგან ყველა საზოგადოებრივი გამოკითხვის, მათ შორის GORBI-ის კვლევების თანახმად *პატრიოტთა ალიანსსა* და *ალტ-ინფოს* ერთად 5%-იანი საარჩევნო ბარიერის გადალახვის პოტენციალი არ გააჩნიათ. აქედან გამომდინარე, კონსერვატიული მესიჯბოქსის და მართლმადიდებელ ეკლესიასთან მაქსიმალურად ჰარმონიზაციის მცდელობის გარდა, *ქართული ოცნების* დამატებითი ტაქტიკა ომის და მშვიდობის თემით მოსახლეობის განწყობებზე ზემოქმედებაა, რაც მეტ-ნაკლებად ამართლებს კიდეც საზოგადოებაში მტკივნეული ომის ისტორიული მეხსიერებიდან გამომდინარე. თუმცა, გასათვალისწინებელია, რომ მოსახლეობის უდიდესი ნაწილი ქვეყანაში მშვიდობასთან ერთად კეთილდღეობას ირჩევს, მთავარ გამოწვევად სოციო-ეკონომიკური გამოწვევები ესახება და ხსნას ევროკავშირში ინტეგრაციაში ხედავს, რისი პერსპექტივაც *ქართული ოცნების* ავტორიტარული პოლიტიკის გამო შეჩერებულია. ამიტომ, თუ საქართველოს მოსახლეობა არჩევანს ევროპული პერსპექტივიდან გამომდინარე გააკეთებს, მაშინ *ქართული ოცნების* ელექტორალური მხარდაჭერა შესუსტდება. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს მოსახლეობა არჩევანს ომისა და ტრადიციების დაკარგვის შიშით მიიღებს, მაშინ *ქართული ოცნების* მხარდაჭერა შესაძლოა არც ისე შესუსტებული იყოს. თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ "ქართულმა ოცნებამ" მოსახლეობისთვის უმთავრესი თემებიდან, როგორიცაა სოციალური და ეკონომიკური კეთილდღეობა და რეალურად ევროპული მომავალი, კონსერვატიულ და ომის და მშვიდობის პარადიგმაზე გააკეთა წინასაარჩევნოდ გათვლა, შეიძლება ითქვას რომ მმართველი პარტია ე.წ. *ვა-ბანკზე* არის წასული და ხელისუფლებაში უმრავლესობით მოსვლის პოტენციალი დიდი ალბათობით არ გააჩნია.

გამოყენებული ლიტერატურა:

ამერიკის ხმა. 2022. „ალტ ინფოს“ „ქამინგ აუთი.“ ხელმისაწვდომია: https://www.amerikiskhma.com/a/6810057.html ბოლოჯერ ნანახია: 12.10.2024.

არაბული, ნ. 2024. მოსახლეობის დაკვეთა და „ქართული ოცნების“ საარჩევნო დაპირებები - რას აჩვენებს კვლევები. რადიო თავისუფლება. ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/%E ბოლოჯერ ნანახია: 14.10.2024.

გეგეშიძე, ა. 2024.„ქართული ოცნების“ დასავლელ პარტნიორებთან ურთიერთობების ევოლუცია: დესკრიპტიული ანალიზი. სოციალური სამართლიანობის ცენტრი. ხელმისაწვდომია: https://socialjustice.org.ge/ka/products/kartuli-otsnebis-dasavlel-partniorebtan-urtiertobebis-evolutsia-deskriptiuli-analizi ბოლოჯერ ნანახია: 15.10.2024.

იმედი ტვ. 2024. გორბის კვლევა - არჩევნები 2024. ხელმისაწვდომია: https://www.imedi.ge/ge/video/166825/gorbis-kvleva--archevnebi-2024 ბოლოჯერ ნანახია: 13.10.2024.

კაკაჩია, კ. & კანდელაკი, ს. 2023. მიგრაცია რუსეთიდან: საფრთხე თუ შესაძლებლობა საქართველოსთვის? GIP. ხელმისაწვდომია: https://gip.ge/ka/publication-post/migracia-rusetidan-safrtxe-tu-shesadzlebloba-saqartvelostvis/ ბოლოჯერ ნანახია: 15.10.2024.

კანდელაკი, ს. 2021. ევროსკეპტიციზმი და რელიგია ქართველი ულტრამემარჯვენეების პოლიტიკურ დღის წესრიგში. GIP. ხელმისაწვდომია: https://gip.ge/ka/publication-post/%e1%83%94%e1%83%95%e1%83%a0%e1%83% ბოლოჯერ ნანახია: 14.10.2024.

კუნჭულია, ლ. 2024. "ოცნების" ოთხი მიზანი საკონსტიტუციო უმრავლესობის ძიებაში. რადიო თავისუფლება. ხელმისაწდვომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/%E1%83%9D%E1%83%AA%E1%83% ბოლოჯერ ნანახია: 14.10.2024.

კავკასიის ბარომეტრი. 2024. საქართველო, 2024 წლის 16 აპრილი - 13 მაისის მონაცემები. ხელმისაწვდომია: https://caucasusbarometer.org/ge/cb2024ge/IMPISS1/ ბოლოჯერ ნანახია: 13.10.2024.

კავკასიის ბარომეტრი(ა). 2024. საქართველო, 2024 წლის 16 აპრილი - 13 მაისის მონაცემები. ხელმისაწვდომია: https://caucasusbarometer.org/ge/cb2024ge/IMPISS1/ ბოლოჯერ ნანახია: 14.10.2024.

კავკასიის ბარომეტრი(ბ). 2024. საქართველო, 2024 წლის 16 აპრილიდან 13 მაისამდე. ხელმისაწვდომია: https://caucasusbarometer.org/ge/cb2024ge/RELIMP/ ბოლოჯერ ნანახია: 14.10.2024.

კახიშვილი, ლ. კეშელავა, დ. 2021. საქართველოს პოლიტიკური ლანდშაფტი. ფრიდრიხ ებერტის ფონდი. ხელმისაწვდომია: https://library.fes.de/pdf-files/bueros/georgien/18418-20220419.pdf ბოლოჯერ ნანახია: 12.10.2024.

კუნჭულია, ლ. 2024. რას აჩვენებს "ხალხის ძალა"? - "ქართული ოცნების" განაყოფი პარტიად გარდაიქმნა. რადიო თავისუფლება. ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%A1- ბოლოჯერ ნანახია: 12.10.2024.

მთავარი არხი. 2024. ბრიტანული კომპანია SAVANTA-ს საზოგადოებრივი გამოკითხვა. ხელმისაწვდომია: https://www.youtube.com/watch?v=GDyHEHqQF4s ბოლოჯერ ნანახია: 15.10.2024.

პატრიოტთა ალიანსი. 2017. საქართველოს პარლამენტის ვიცე-სპიკერი ირმა ინაშვილი გიორგი ფოფხაძის შესახებ. ხელმისაწვდომია: https://www.facebook.com/watch/?v=1992551551028024 ბოლოჯერ ნანახია: 12.10.2024.

პუბლიკა. 2024. საჯარო რეესტრმა ძალადობრივი, პრორუსული „ალტ ინფოს" პარტია გააუქმა. ხელმისაწვდომია: https://publika.ge/reestrma-dzaladobriv-prorusul-alt-infos-partia-gauuqma/ ბოლოჯერ ნანახია: 12. 10.2024.

რადიო თავისუფლება. 2019. დავით გარეჯის დილემა. ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/%E1%83%93%E1%83%90%E1%83%95%E1 ბოლოჯერ ნანახია: 14.10.2024.

რადიო თავისუფლება(ა). 2024. "ქართულმა ოცნებამ" საარჩევნო პროგრამა წარადგინა. ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/33149590.html ბოლოჯერ ნანაზია: 14.10.2024.

რადიო თავისუფლება(ბ). 2024. რუსეთში "ქართული ოცნების" ბანერები მოეწონათ. გიკვირთ? ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/%E1%83%A0%E1%83% ბოლოჯერ ნანაზია: 14.10.2024.

რადიო თავისუფლება(გ). 2024. პარლამენტმა ლგბტ უფლებების შემზღუდავი კანონპროექტი მესამე, საბოლოო მოსმენით მიიღო. ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/33123114.html ბოლოჯერ ნანახია: 12.10.2024.

რადიო თავისუფლება(დ). 2024. საპარლამენტო არჩევნებზე "ხალხის ძალა" "ქართული ოცნების" სიაში იქნება. ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/33038882.html ბოლოჯერ ნანახია: 12.10.2024.

სამხარაძე, ნ. 2019. დავით გარეჯი ქართულ ეროვნულ ნარატივსა და პოლიტიკური ელიტის დღის წესრიგში: რამდენად შესაძლებელია პრობლემის მოგვარება? GIP. ხელმისაწვდომია: https://gip.ge/wp-content/uploads/2020/10/%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%99%E1%83%95%E1%83%94%E1%83%95%E1%83%98-32.pdf ბოლოჯერ ნანახია: 12.10.2024.

ფორმულა ტვ. 2024. Edison Research-ის კვლევა 17-29 სექტემბერი. ხელმისაწვდომია: https://www.youtube.com/watch?v=RfOASkONCS8 ბოლოჯერ ნანახია; 14.10.2024.

ჩიჩუა, ნ. 2020. რას ჰპირდება "ოცნება" ამომრჩეველს | არჩევნები 2020. Netgazeti. ხელმისაწვდომია: https://netgazeti.ge/news/492894/ ბოლოჯერ ნანახია: 15.10.2024.

Civil Georgia. 2017. პატრიოტთა ალიანსის წევრებმა რუსეთის სახელმწიფო სათათბიროში შეხვედრები გამართეს. ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/217936 ბოლოჯერ ნანახია: 13.10.2024.

Civil Georgia(ა). 2018. პატრიოტთა ალიანსმა ნაციონალური მოძრაობის საწინააღმდეგო აქციები გამართა. ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/267490 ბოლოჯერ ნანახია: 12.10.2024.

Civil Georgia(ბ). 2018. პატრიოტთა ალიანსი 'რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფისთვის' სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების ინიციატივით გამოდის. ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/240193 ბოლოჯერ ნანახია: 12.10.2024.

Civil Georgia. 2024. პარლამენტმა ანტი-ლგბტ კანონმდებლობა მესამე მოსმენით მიიღო. ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/624825 ბოლოჯერ ნანახია: 12.10.2024.

Democracy Research 2022. უკტრამემარჯვენე პოლიტიკურ გაერთიანებაზე "კონსერვატიული მოძრაობა/ალტ-ინფო" დაკვირვების შედეგები. ხელმისაწვდომია: https://www.democracyresearch.org/files/190%E1%83%99%E1% ბოლოჯერ ნანახია: 12.10.2024.

GMC.2022. საიდან მოდის ალტ-ინფოს ფული და გავლენა? ხელმისაწვდომია: https://gmc.org.ge/ka/news/99 ბოლოჯერ ნანახია: 12.10.2024.

IPN. 2020. ირმა ინაშვილი - ჩვენ არ შევეგუებით არჩევნების გაყალბებას! ვიკრიბებით თავისუფლების მოედანზე 7 ნოემბერს, 17 საათზე ®. ხელმისაწვდომია: https://www.interpressnews.ge/ka/article/627372-irma-inashvili-chven-ar-sheveguebit-archevnebis-gaqalbebas-vikribebit-tavisuplebis-moedanze-7-noembers-17-saatze-r/ ბოლოჯერ ნანახია: 12.10.2024.

ISFED. 2022. „კონსერვატიული მოძრაობა/ალტ ინფოს" საქმიანობა საქართველოს რეგიონებში. ხელმისაწვდომია: https://isfed.ge/geo/angarishebi/220711014334test ბოლოჯერ ნანახია: 12.10.2024.

ISET. 2024. საარჩევნო კომპასი. საქართველო. EU, IRI, FES, KAS, USAID. ხელმისაწვდომია: https://bm.ge/news/dgheidan-akhali ბოლოჯერ ნანახია: 13.10.2024.

ISFED. 2020.„პატრიოტთა ალიანსის" სასარგებლოდ მოქმედი ქსელი Facebook-ზე. ხელმისაწვდომია: https://isfed.ge/geo/sotsialuri-mediis-monitoringi/patriotta-alianstan-dakavshirebuli-politikuri-kampania-sotsialur-mediashi ბოლოჯერ ნანახია: 14.10.2024.

Netgazeti. 2012. ინაშვილი. ხელმისაწვდომია: https://netgazeti.ge/news/16911/ ბოლოჯერ ნანახია: 13.10.2024.

Netgazeti. 2014. ილია მეორე აცხადებს, რომ არც ერთი მორწმუნე არ მიიღებს ანტიდისკრიმინაციულ კანონს. ხელმისაწვდომია: https://netgazeti.ge/news/31500/ ბოლოჯერ ნანახია: 15.10.2024.

On.ge(ა). 2024.როგორ მოიპარა "ოცნებამ" "ალტ-ინფოს" ნარატივი. ხელმისაწვდომია: https://on.ge/story/133863-%E1%83%A0%E1%83%9D% ბოლოჯერ ნანახია: 13.10.2024.

On.ge(ბ). 2024. ოცნება "გარეჯი საქართველოას" მეორე ნაწილს გვთავაზობს — ინტერვიუ პაატა ზაქარეიშვილთან. ხელმისაწვდომია: https://on.ge/story/131487-%E1%83%9E%E1%83%90%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%90 ბოლოჯერ ნანახია: 12.10.2024.

On.ge(გ). 2024. ქართულმა ოცნებამ აიღო და უბრალოდ დააკოპირა, ჩვენ წლები რა მესიჯბოქსზეც ვიყავით… ხელმისაწვდომია: https://on.ge/story/133303-%E1%83%96%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%90-% ბოლოჯერ ნანახია: 13.10.2024.

საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი (GIP) არის არაკომერციული, არაპარტიული, კვლევითი და ანალიტიკური ორგანიზაცია. საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი ცდილობს საქართველოში დემოკრატიული ინსტიტუტების ორგანიზაციული საფუძვლების გაძლიერებას და ეფექტური მმართველობის პრინციპების განვითარებას პოლიტიკური კვლევისა და ადვოკატირების გზით.

ნაშრომში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ავტორებს და შესაძლოა, არ ემთხვეოდეს „საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტის“ შეხედულებებს.

დოკუმენტის ციტირების წესი:

სალომე კანდელაკი, „არჩევნებიდან-არჩევნებამდე: საქართველოს მმართველი პოლიტიკური პარტიის „ქართული ოცნების“ ტრანსფორმაცია“ პოლიტიკის მემორანდუმი #76, საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი, ოქტომბერი 2024.

© საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი, 2024
13 ალექსანდრე პუშკინის ქუჩა, 0107 თბილისი, საქართველო
ტელ: +995 599 99 02 12
ელ-ფოსტა: info@gip.ge

მეტი ინფორმაციისთვის, ეწვიეთ:
www.gip.ge